

ანგარიში

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საშემოსავლო ნაწილი

შემოსულობები

ახმეტის მუნიციპალიტეტის შემოსულობები 2016 წლის წლიური გეგმით შეადგენს 10955,8 ათ. ლარს, ფაქტიურმა შემოსავლმა 9 თვეში შეადგინა 8088.5 ათ. ლარი მშ:

- შემოსავლების წლიური გეგმა შეადგენს 10755,8 ათ. ლარს, ხოლო 9 თვის ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 7915,3 ათ. ლარი. წლიური გეგმის 74%.

- არაფინანსური აქტივების კლების წლიური გეგმა შეადგენს 200,0 ათ. ლარს. 9 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 173,2 ათ. ლარი. წლიური გეგმის 86,6 %.

შემოსავლები

ფაქტიური შემოსავლების ოდენობამ წლიური გეგმის მიმართ შეადგინა 74%-ი , მათ შორის:

- ქონების გადასახადის წლიური გეგმა შეადგენს 1595,0 ათ. ლარს. ფაქტიურმა მაჩვენებელმა 9 თვეში შეადგინა 1206,5 ათ. ლარი. აქედან,
 - საწარმოთა ქონების წლიური გეგმა შეადგენს 1089,0 ათ. ლარს, ფაქტიურად 9 თვეში შემოვიდა 1117,0 ათ. ლარი. წლიური გეგმის 102,7 %.
 - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის წლიური გეგმა შეადგენს 470,0 ათ. ლარს, ფაქტიურად 9 თვეში შემოვიდა 88,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის 18,8%.
 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის წლიური გეგმა შეადგენს 36,0 ათ. ლარს. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 9 თვეში 1,0 ათ. ლარი. წლიური გეგმის 2.7 %.
- გრანტები(ტრანსფერები) -ის ოდენობა 2016 წლის წლიური გეგმით განისაზღვრა 8163,8 ათ. ლარის ოდენობით. ფაქტიურად 9 თვეში შემოსულია 5673,4 ათ. ლარი. აქედან,
 - გათანაბრებითი ტრანსფერის წლიური ოდენობა შეადგენს 5205,1 ათ. ლარს. 9 თვეში მიღებულია 3470,4 ათ. ლარი. წლიური გეგმის 66,6 % .
 - მიზნობრივი ტრანსფერი (დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) 2016 წლის წლიური გეგმით შეადგენს 130,0 ათ. ლარს. ფაქტიურად 9 თვეში შემოსულია 97,2 ათ. ლარი. წლიური გეგმის 74,7 %.
 - ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად 2016 წლის გეგმით შეადგენს 2828,7 ათ. ლარს. ფაქტიურად 9 თვეში შემოსულია 2105,8 ათ. ლარი. წლიური გეგმის 74.4 %. მათ შორის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში წლიური გეგმით გათვალისწინებულია 751,9 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 253,7 ათ. ლარი
- სხვა შემოსავლების წლიური გეგმა შეადგენს 647,0 ათ. ლარი. ფაქტიურად 9 თვეში შემოსულია 559,8 ათ. ლარი. წლიური გეგმის 86,5 %.
- აქედან,
 - ბანკის პროცენტის წლიური გეგმა შეადგენს 27,0 ათ. ლარს. ფაქტიურად შემოსულია 43,8 ათ. ლარი. წლიური გეგმის 162,2%.
 - მოსაკრებლის ოდენობა ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის წლიური გეგმით შეადგენს 300.0 ათ, ლარს. ფაქტიურად 9 თვეში შემოსულია 308,1 ათ. ლარი, წლიური გეგმის 102,7%.

მიწის იჯარიდან შემოსვალის წლიურმა გეგმამ შეადგენა 130,0 ათ. ლარი. 9 თვეში ფაქტიურად შემოვიდა 7,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის 5,7 %.

სანებართვო მოსაკრებელის ოდენობა წლიური გეგმით შეადგენს 10,0 ათ. ლარს. 9 თვეში ფაქტიურად შემოსულია 56,7 ათ. ლარი.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებელის წლიური გეგმა შეადგენს 20,0 ათ. ლარს. 9 თვეში ფაქტიურად შემოსულია 8,3 ათ. ლარი. წლიური გეგმის 41,5 %.

შემოსავლების გეგმა ჯარიმებიდან და სანქციებიდან წლის განმავლობაში შეადგენს 120,0 ათ. ლარს. 9 თვეში ფაქტიურად შემოსულია 120,5 ათ. ლარი. წლიური გეგმის 75,3 %.

გადასახდელები (ხარჯები)

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები ათვისებულია 62,2%-ით. ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 12524,3 ათ. ლარს. 9 თვეში ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7789,1 ათ. ლარი. აქედან:

1. შრომის ანაზღაურების ხარჯები ათვისებულია 77,0%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 1431,6 ათ. ლარს. 9 თვეში გაიხარჯა 1102,4 ათ. ლარი. მათ შორის; პრემია 131,8 ათ. ლარი. -დანამატი- 12,9 ათ. ლარი.
2. საქონელი და მომსახურება 68,8%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 887,2 ათ. ლარს. 9 თვეში ათვისებულია 610,8 ათ. ლარი.
 - 2.1. შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 56,4%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 74,8 ათ. ლარს. 9 თვეში ათვისებულია 42,2 ათასი ლარი.
 - 2.2. მივლინება 82,5%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 33,2 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 27,4 ათასი ლარი, საიდანაც ქვეყნის გარეთ მივლინებებზე დაიხარჯა 19,8 ათასი ლარი.
 - 2.3. ოფისის ხარჯები 33,5%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 348,1 ათ. ლარს. 9 თვეში ათვისებულია 116,9 ათასი ლარი.
 - 2.4. წარმომადგენლობითი ხარჯებში გახარჯულია 39,7 ათასი ლარი.
 - 2.5. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციას მოვლა შენახვის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 197,6 ათას ლარს . 9 თვეში ათვისებულია 162,4 ათასი ლარი.(აქედან თუშეთის მიმართულებით ავთარეისების ხარჯი შეადგენს 70,0 ათას ლარს)
 - 2.6. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 70,6%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 263,0 ათ. ლარს. 9 თვეში ათვისებულია 185,7 ათ. ლარი.
3. სუბსიდიები 70,1%-ით . წლიური გეგმა შეადგენს 4020,7 ათას ლარს. 9 თვეში ათვისებულია 2820,6 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულო

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯები ათვისებულია 68,8%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 537,7 ათ. ლარს. 9 თვეში ათვისებულია 369,9 ათ. ლარი.

მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურების ხარჯები 73,1%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 354,5 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 259,2 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურება 57,3%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 160,7 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 92,2 ათ. ლარი.
 - 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 20,6%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 23,8 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 4,9 ათ. ლარი.
 - 2.2 მივლინების ხარჯები 77,5%-ით. წლიური გეგმა 8,0 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 6,2 ათ. ლარი. მათ შორის ქვეყნის გარეთ ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 5.3 ათ. ლარი
 - 2.3 ოფისის ხარჯები 34,7%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 21.9 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 7,6 ათ. ლარი.
 - 2.4 წარმომადგენლობითი ხარჯი 85,4%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 5,5 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 4,7 ათ. ლარი.
3. ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი 62,5%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 31,5 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 19,7 ათ. ლარი.
4. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები 70,0%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 70,0 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 49,0 ათ. ლარი.
5. არა ფინანსური აქტივები ზრდის (კაპიტალური) ხარჯი 9 თვეში შეადგენს 16,9 ათ. ლარს. წლიური გეგმა შეადგენს 20,0 ათ. ლარს. შესრულება 84,5%. საიდანაც სანტრასპორტო საშუალებების შეძენაზე გახარჯულია 16,9 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგეობა

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯები ათვისებულია 73,6%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 1531,3 ათ. ლარს. 9 თვეში ათვისებულია 1127,1 ათ. ლარი. მათ შორის

1. შრომის ანაზღაურების ხარჯები 76,2%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 1009,5 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 768,9 ათასი ლარი.
2. საქონელი და მომსახურება 73,6%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 364,9 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 268,7 ათ. ლარი.
 - 2.1 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 76,2%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 45,0 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 34,3 ათ. ლარი.
 - 2.2 ოფისის ხარჯები 80,4%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 99,1 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 79,7 ათ. ლარი.
 - 2.4 წარმომადგენლობითი ხარჯი 100%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 35,0 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 35,0 ათ. ლარი.
- 2.5 3. ტრანსპორტისა და ტექნიკის მოვლა შენახვის ხარჯი 67,7%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 90,4 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 61,2 ათ. ლარი.

4. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები 48,8%-ით. წლიური გეგმა შეადგენს 75,4 ათასი ლარს. 9 თვეში ათვისებულია 37,1ათ. ლარი.

4. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 9 თვეში შეადგენს 6,0 ათ.ლარს.

5. არა ფინანსური აქტივები ზრდის (კაპიტალური) ხარჯი 9 თვეში შეადგენს 61,6 ათ. ლარს. წლიური გეგმა შეადგენს 148,5 ათ. ლარს. შესრულება 41,5%. საიდანაც სანტრასპორტო საშუალებების შეძენაზე გახარჯულია 27,7 ათ. ლარი, ხოლო .

სარეზერვო ფონდი

2016 წელს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იყო 90,0 ათასი ლარი, რომლის ფაქტიურმა ხარჯმა შეადგინა 58,2 ათასი ლარი, რომელიც გახარჯული იქნა შემდეგი სახის სამუშაოებისა და საქონლის დასაფინანსებლად:

- სოფ. ახშნის სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა - 2193ლარი ;
- სოფ. ჩაბინაანის ჭაბურღილის რეაბილიტაცია - 4045 ლარი;
- სოფ. ალავერდის და ზ. ხოდაშნის სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია- 8912 ლარი;
- სოფ. ქისტაურის ხევის მოწყობა- 3000 ლარი;
- მდ. ალაზნის კალაპოტის მოწყობა - 1470 ლარი;
- სტიქიის შედეგად დაზარალებულ პირთა სახურავების რეაბილიტაცია-16 591 ლარი;

შესყიდვებთან (ტენდერი, აუქციონი და ა.შ.) დაკავშირებული ხარჯები

შესყიდვებთან დაკავშირებულმა ხარჯმა 9 თვეში შეადგინა 3,7 ათ. ლარი. წლიური გეგმა შეადგენს 6,9 ათ. ლარს. შესრულება 53,6 %.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამალგების ხელშეწყობა

სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური.

ხარჯებმა შეადგინა 56,6 ათასი ლარი. წლიური გეგმა შეადგენს 82,2 ათას ლარს. შესრულება 68,9 %.

1. შრომის ანაზღაურება 47,9 ათასი ლარი. წლიური გეგმა შეადგენს 67,6 ათ. ლარს. შესრულება 70,9 %.
2. საქონელი და მომსახურება 8,6 ათასი ლარი.წლიური გეგმა შეადგენს 14,6 ათ. ლარს. შესრულება 58,9 %.
- 2.1 შტატგარეშე მომუშავეთ შრომის ანაზღაურება 3,0 ათ. ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 6,0 ათ. ლარს. შესრულება 50%.
- 2.2 მივლინება 0,7 ათ. ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 0.7 ათ. ლარს. შესრულება 100 %.
- 2.3 ოფისის ხარჯი 1,9 ათ. ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 2,0 ათ. ლარს. შესრულება 95%.
- 2.4 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 5,7 ათ. ლარს , ფაქტიური ხარჯი 2,9 ათ. ლარი. შესრულება 50,9 %.

ინფრასტრუქტურა, მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2016 წლის ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ინფრასტრუქტურის, მშენებლობა, რეაბილიტაციასა და ექსპლუატაციაზე ფაქტიურმა ხარჯმა 9 თვეში შეადგინა 3087,2 ათასი ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 5356,7 ლარს, შესრულება 57,6 %. მათ შორის წლიური გეგმით ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობა შეადგენს 3654,3 ათას ლარს.

გზების, ხიდების მშენებლობა, რეკონსტრუქცია მოვლა- პატრონობა

გზების, ხიდების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 2668,5 ათ. ლარს. ფაქტიურმა ხარჯმა 9 თვეში 1703,1 ათ. ლარი მათ შორის: ადგილობრივი ბიუჯეტიდან 336,8 ათ. ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან წლიური გეგმით გათვალისწინებულია (საქ. მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის N 175 განკარგულება) 1450,4 ათ. ლარი საიდანაც გაიხარჯა შემდეგ ობიექტებზე:

- ქ. ახმეტაში მარჯანიშვილის ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება- 101,3 ათ. ლარი.
- ქ. ახმეტაში ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება-305,5 ათ. ლარი;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში თეთრი გიორგის მონასტერთან დამაკავშირებელი გზის მოასფალტება- 354,0 ათ. ლარი
- ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვნის ცენტრალური ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება- 489,5 ათ. ლარი;
- ქ. ახმეტაში წმიდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ჟალურის საბავშვო ბაღის მისასვლელი ქუჩის ასფალტო-ბეტონის საფარით მოპირკეთება- 54,8 ათ. ლარი;
- ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაყილოვანში მისასვლელი გზის მოწყობა ასფალტ ბეტონის საფარით- 144,4 ათ. ლარი;

სულ ცენტრალური ბიუჯეტიდან გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 1449,5 ათ. ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით გახარჯულია 76,3 ათ. ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან გარდა თანადაფინანსებისა გაიხარჯა 255,3 ათ. ლარი შემდეგ ობიექტებზე:

- დუმასტური-ჯოყოს დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია- 128,2 ათ. ლარი;
- თუშეთის სოფლების შიდა გზების რეაბილიტაცია - 28, 6 ათ. ლარი;
- მატნის საუბნო გზის რეაბილიტაცია- 2,5 ათ. ლარი;
- კასრისწყლის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 56,0 ათ. ლარი

წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

- წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე და ექსპლუატაციაზე წლიური გეგმით გათვალისწინებულია 736,3 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან

გამოყოფილია(საქ. მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის №175 განკარგულება) 237,3 ათ. ლარი, რომელიც გათვალისწინებულია სოფ. მატნის სასმელი წყლის წყალსადენის სათავის და მაგისტრალის რეაბილიტაციისათვის.

ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან გამოცხადებულია ტენდერი სოფლების ფიჩხოვანის, მატნის და ხორხლის სასმელი წყლის ახალი ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოებზე, რომლის ღირებულება შეადგენს 157,0 ათას ლარს. აგრეთვე წყლის სისტემებში არსებული მთელი რიგი პრობლემების აღმოფხვრისა და გამოსწორების მიზნით მიმდინარე წელს შეიქმნა და ფუნქციონირებს აიპ ,, მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მოვლა- პატრონობის ცენტრი,, , რომლის წლიური ხარჯის ოდენობა შეადგენს 304,0 ათას ლარს, 9 თვეში ფაქტიურად მის მიერ გახარჯულია 128,6 ათასი ლარი, საიდანაც შეძენილი იქნა სასმელი წყლის მილები.ხოლო დღეის მდგომარეობით ხელშეკრულება გაფორმებულია ექსკავატორის შესაძენად , რომლის ღირებულებაა 77,3 ათასი ლარი და ზილის მარკის ავტომობილის შესაძენად , რომლის ღირებულებაა 9,8 ათასი ლარი.

სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

წლიური გეგმა შეადგენს 186,5 ათ. ლარს. აქედან გასული წლის პროექტების ნაშთიდან ცენტრალური ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხა (საქ. მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის №2195; 16 ივლისის №1554;) შეადგინს გეგმით 146,5 ათ. ლარს. აღნიშნული კუთხით გახარჯულია 106,4 ათ. ლარი 9 თვეში (ძველი ვალდებულებები)შემდეგ ობიექტებზე:

- სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი ქვის გაბიონების (სოფლების: შახვეტილა-ჭართალის, ქვ. ალვნის წყალსადენის, მდ. ბაწარაზე ნაპირსამაგრის, სოფ. მატნის ნაპირსამაგრი)მოწყობა- რეაბილიტაცია- 50,6 ათ. ლარი
- მდინარე ალაზნის ნაპირსამაგრი სამუშაოები (მშ: პანკისის ხეობაში)-55,7 ათ. ლარი

გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

გარეგანათებაზე გამოყოფილი თანხების მოცულობამ წლიური გეგმით შეადგინს 161,4 ათ. ლარს, საიდანაც მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯი არის 150,0 ათასი ლარი. 9 თვეში ფაქტიურად გახარჯულია 87,3 ათ. ლარი.

დასუფთავების ღონისძიებები

დასუფთავების ღონისძიებებზე წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 435,0 ათასი ლარი. აღნიშნული კუთხით სამუშაოებს ახორციელებს აიპ ,, კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური,, . ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 316,4 ათასი ლარი.

სანიაღვრე არხების მოწყობა

სანიაღვრე არხების მოწყობაზე გათვალისწინებულია კაპიტალური ხარჯის 10,0 ათასი ლარი.

ბინათმშენებლობა

წლიური გეგმა შეადგენს 331,9 ათ. ლარს, საიდანაც (საქ. მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის №175 განკარგულება) -ით გამოყოფილი იქნა 291,9 ათ. ლარი, ქალაქ ახმეტაში მრვალობინიანი

საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაციის მიზნით , ხოლო თანადაფინანსებით გათვალისწინებული ადგილობრივი ბიუჯეტით 40,0 ათ. ლარი. ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 325,2 ათ. ლარი. მშ: ცენტრალური ბიუჯეტით- 286,3 ათ. ლარი ,ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით -36,0.

სპეც -ტექნიკა

სპეც ტექნიკის შესაძენად წლიური გეგმით ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახსრებიდან გათვალისწინებულია 50,0 ათ. ლარი , ფაქტიურად გახარჯულია 49,9 ათ. ლარი, რომლითაც შეძენილი იქნა ბულდოზერი 40,0 ათ. ლარის ღირებულების და კამაცოს მაღალი წნევის ტუმბო 9,9 ათ. ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

2016 წლის ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვალი N265 განკარგულებით გამოყოფილი იქნა 751,926 ლარი, საიდანაც დღეის მდგომარეობით ათვისებული იქნა 469,2 ათასი ლარი,რითაც მუნიციპალიტეტის სოფლების 123 ობიექტზე ჩატარებული იქნა სამუშაოები. აქედან:

- გზების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა- 145,4 ათასი ლარი.
- გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე - 29,7 ათ. ლარი.
- სპორტული ინვენტარის შეძენაზე(სოფლების ზ. ალვნის და წინუბნისათვის)-13,5 ათ. ლარი
- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე - 107,7 ათ. ლარი.
- სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე - 111,0 ათ. ლარი.
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე - 13,4 ათ. ლარი.
- სანიაღვრე არხების რეაბილიტაციაზე-11,3 ათ. ლარი
- სპეცტექნიკის შეძენაზე (მოტობლოკი 6 ცალი მთათუშეთის სოფლებისთვის) – 24,8 ათ. ლარი.
- სკვერების მოწყობაზე (საპროექტო) – 2,3 ათ. ლარი.
- ნაგვის კონტეინერების შეძენაზე- 9,9 ათ. ლარი
(რამდენიმე ათეულ ობიექტზე მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებიც უახლოეს მომავლაში დასრულდება, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შესრულებული ობიექტების ნუსხა სოფლების მიხედვით თან ერთვის).

საგანმანათლებლო ღონისძიებები

საგანმანათლებლო (სკოლამდელი აღზრდა) ხარჯებმა 2016 წელს შეადგინა 1106,8 ათასი ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 1755,4 ათ. ლარს შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 63,0 %.

საქ. მთავრობის 2016 წლის 04 თებერვლის N175 განკარგულებით სოფელ წინუბნის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გამოყოფილია 156,7 ათასი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით 8,3 ათასი ლარი. სულ წინუბნის ბაღის შენობის სარეაბილიტაციო თანხის ოდენობა შეადგენს 164,9 ათას ლარს .დღეისათვის შესრულებულია 123,7 ათასი ლარის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებიდან ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის სოფლების რამოდენიმე საბავშვო ბაღს, ესენია :სოფ .დუმასტურის ს.ბ.-40,9 ათ. ლარი , სოფ. ქვალენის N2 ს.ბ.- 38,8 ათ. ლარი , ქ. ახმეტის N2 საბავშვო ბაღის- 23,4 ათ. ლარი .

ამასთან, მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება ყოფილი სკოლა-ინტერნატის შენობის(სადაც განთავსდება საბავშვო ბაღი) რეაბილიტაცია, გამოცხადებულია ტენდერი შახვეტილის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, რომლის ღირებულება შეადგენს 52,4 ათას ლარს.

რაც შეეხება სუბსიდიას წლიური გეგმით გათვალისწინებულია 1383,7 ათ. ლარი,ხოლო 9 თვეში გახარჯული იქნა 922,4 ათ. ლარი,.

სპორტულ კულტურული ღონისძიებები

სპორტული კულტურული ღონისძიების ხარჯმა შეადგინა 1441,6 ათასი ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 2361,5 ათ. ლარს. შესრულება შეადგენს 61,0%-ს საიდანაც კაპიტალური ხარჯი არის 145,3 ათ. ლარი.

სპორტული - კულტურულ ღონისძიებებზე გამოყოფილი თანხები ათვისებულ იქნა შემდეგ ღონისძიებებზე:

- სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობაზე 2016 წელს წლიური გეგმით გათვალისწინებულია 332,7 ათ. ლარი. (სოფ. მატნის სპორტული კომპლექსის მშენებლობისათვის თანადაფინანსება). 9 თვეში გაიხარჯა 4,5 ათ. ლარი.
- სპორტული სკოლების ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 731,7 ათ. ლარს. ფაქტიურად დაიხარჯა 561,5 ათასი ლარი. გაწეული ხარჯებიდან მოეწყო ზ. ზვიადაურის სპორტსკოლის ეზო და სტადიონი და შერემონტდა საფეხბურთო სკოლის სტადიონის ტრიბუნები.
- ა(ა)იპ „ ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“ დაფინანსებულია 364,0 ათ. ლარით. წლიური გეგმა შეადგენს 484,0 ათ. ლარს
- საინფორმაციო ცენტრი დაფინანსებულია 30,6 ათ. ლარით. წლიური გეგმა შეადგენს 41,0 ათ. ლარს
- ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებაზე გახარჯულია 8,8 ათ. ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 17,5 ათ. ლარს
- სკვერების მოწყობა რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯული იქნა 5,5 ათ. ლარი, წლიური გეგმა შეადგენს 80,0 ათ. ლარს.(აღნიშნული თანხა მოხმარდება ქ. ახმეტაში სამი დიდი სკვერის მოწყობას).
- ა(ა)იპ „დაცული ლანდშაფტი“ დაფინანსებულია 62,5 ათ. ლარით, წლიური გეგმა შეადგენს 107,0 ათ. ლარს
- ა(ა)იპ „მუნიციპალური ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მართვის ცენტრი“ დაფინანსებულია 131,4 ათასი ლარით, წლიური გეგმა შეადგენს 187,2 ათ. ლარს.

ჩვენი მუნიციპალიტეტი ტრადიციულად გამოირჩევა სპორტის სფეროში მნიშვნელოვანი მიღწევებით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 3 სასპორტო სკოლა სადაც სპორტის 11 სახეობაში 780-ზე მეტი ბავშვი ვარჯიშობს.

კომპლექსური სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 7 სახეობა, რომლებშიც ვარჯიშობს 250 სხვადასხვა ასაკის ბავშვი. სკოლის მოსწავლეებს მონაწილეობა აქვთ მიღებული 34 ღონისძიებაში, სადაც მოპოვებული აქვთ საერთო ჯამში 139 მედალი, აქედან 51 ოქრო, 47 - ვერცხლი და 41 - ბრინჯაო. აღსანიშნავია **კალათბურთის** გოგონათა გუნდი წარმატება, რომელიც რამოდენიმე წელია გამოდის სუპერლიგის ჩემპიონატზე და არიან მეორე ადგილისა და თასის მფლობელი. მათგან საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებში ირიცხება სკოლის 2 სპორტსმენი. აღნიშნული ნაკრები წელს ევროპის ჩემპიონი გახდა ანდორაში და გოგონები ოქროს მედლით დაბრუნდნენ. უმცროსი ასაკის ვაჟ კალათბურთელთა გუნდმა კახეთის ფედერაციის თასის გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავეს და თასიც მოიპოვეს. კალათბურთელთა მიერ მოპოვებულია 14 ოქრო და 24 ვერცხლი. სპორტის დანარჩენი სახეობებიდან **კიკ-ბოქსინგში**- მოპოვებულია 20 მედალი, **ბერძნულ-რომაული ჭიდაობაში**-რესპუბლიკურ ტურნირზე მოპოვებულია 7 ოქრო, 1 ვერცხლი, 18 ბრინჯაო; **თავისუფალი ჭიდაობაში**- მოპოვებულია 1 ოქრო, 6 ვერცხლი, 6 ბრინჯაო. საერთაშორისო ტურნირზე ბათუმში 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაოს მედალი.

ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“ - ვარჯიშობს 250 ბავშვი, 2016 წელს სკოლის სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებმა არაერთ წარმატებას მიაღწიეს და არაერთხელ დაბრუნდნენ წარმატებულები სხვადასხვა რეგიონალური ტურნირებიდან. მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს 2016 წლის ზაფხულში ჩატარებულ ერთობლივი პროექტში „სპორტი-სკოლა-პოლიცია“. სკოლის წარმატებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სკოლის ფეხბურთელები წარმატებით აგრძელებენ თამაშს საქართველოს სხვადასხვა გუნდებში.

ზურაბ ზვიადაურის სახელობის სასპორტო სკოლაში 3 წრეა სადაც 280 მოსწავლე ვარჯიშობს. მიმდინარე წელს ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლას ჩატარებული აქვს 4 ღონისძიება, აქედან ერთი საერთაშორისო შეჯიბრი და ერთი რესპუბლიკური ტურნირი. სკოლის მოჭიდავეებს მონაწილეობა მიღებული აქვთ 5 საერთაშორისო ტურნირზე 10 რესპუბლიკურ ტურნირზე. მოპოვებული მედლების რაოდენობა შეადგენს 50-ს.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

სოციალური და ჯანდაცვის ღონისძიებების კუთხით ათვისებული იქნა 596,0 ათასი ლარი.

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსებულია 60,7 ათასი ლარით;
- სამედიცინო მომსახურების ხარჯები - 340 ბენეფიციარზე 165,6 ათ. ლარი.
- დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე, ონკოლოგიური და ფსიქიკური პრობლემის მქონე ავადმყოფებისათვის შესაბამისი მედიკამენტების თანხის თანადაფინანსება - 121 ბენეფიციარზე - 26,7 ათ. ლარი;
- ეკენომიურად და სოციალურად გაჭირვებული ოჯახების დახმარება 113 ოჯახზე - 11,3 ათ. ლარი;
- ახალშობილთა ოჯახების დახმარება 122 ოჯახზე - 12,2 ათ. ლარი;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 65 ოჯახზე - 6,5 ათ. ლარი;
- გადაცვლილი ომის ვეტერანის სარიტუალო ხარჯი 2 ვეტერანის ოჯახზე - 0,5 ათ. ლარი;
- ვეტერანების სადღესასწაულო დახმარება 5 ვეტერანზე 1,0 ათასი ლარი;
- სტიქიის შედეგად (ხანძარი) დაზარალებული ოჯახების დახმარება 29 ოჯახზე - 9,5 ათ. ლარი;

- დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირების ტრანსპორტირების ხარჯები 19 ბენეფიციარზე 9,5 ათ. ლარი;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახების დახმარება 8 ოჯახზე 2,0 ათ. ლარი;
- 95 წელს გადაცილებულ ხანდაზმულთა დახმარება 11 ბენეფიციარზე - 1,1 ათ. ლარი;
- უდემამო ბავშვები (16 წლამდე) სასურსათო პაკეტები 15 ბავშვებზე - 0,8 ათ. ლარი;
- შშმ ბავშვები (16 წლამდე) სასურსათო პაკეტები საახალწლოდ და სააღდგომოდ 40 ბავშვზე - 2,0 ათ. ლარი;
- სასურსათო პაკეტები მაღალმთიანი რეგიონის (თუშეთი) მუდმივად მცხოვრებთათვის სააღდგომოდ 30 ოჯახზე 1,5 ათ.ლარი;
- მაღალმთიან რეგიონში (თუშეთი) მუდმივად და სეზონურად მცხოვრებ პირთა პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის შეძენილი საჭირო მედიკამენტები 2,0 ათ. ლარი;
- განსაკუთრებულ შემთხვევაში „სოციალური პაკეტით განსაზღვრული დახმარების მსურველ პირთა განცხადებების განმხილველი კომისიის“ დასკვნის საფუძველზე გამოყოფილი სოციალური დახმარება იმ პირების მიმართ, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს სამიზნე ჯგუფის მოთხოვნებს ან კონკრეტული მიზეზების გამო ამ ეტაპზე შეუძლებელია დახმარება სოციალური პროგრამის სხვა მუხლებიდან 60 ბენეფიციარზე 24,1 ათ. ლარი;
- სოციალურ სახლზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 275,8 ათასი ლარი, რომელიც ემსახურება 250 ბენეფიციარს;
- მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურება 8,4 ათ. ლარი;
- თუშეთის მოსახლეობის ავიარეისებით მომსახურებაზე - 70,0 ათ. ლარი.
- უსინათლოთა დახმარება - 19 ბენეფიციარი; 1,9 ათ. ლარი.

მოსახლეობის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

ადგილობრივმა თვითმმართველობის კოდექსმა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახადა მოსახლეობის როლი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების საქმეში, რაც გამოიხატა გამგებლის სათათბირო ორგანო „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო“-ს შექმნაში, რომელმაც უკვე 4 სხდომა ჩაატარა და მოსახლეობის პრობლემები მოიტანა მუნიციპალიტეტამდე. 2016 წელს ადმინისტრაციულ ორგანოსთან შეიქმნა კიდევ ერთი საბჭო - „ახმეტის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის საკითხების განმხილველი საბჭო“, რომელმაც „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის და მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ -5699 მოქალაქეს დაუდგინა სტატუსი, რომელიც მათთვის მთელი რიგი შეღავათებით სარგებლობის საფუძველი გახდა.

2016 წლის 27 მაისს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეიქმნა „პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“, რომლის მიზანსაც წარმოადგენს პირადობის მოწმობის არმქონე პირებისათვის კონკრეტულ წლებში ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების, ყოფნის ფაქტის დადგენა, რაც შემდგომ უკვე ამ პირთათვის საჯარო რეესტრის მხრიდან პირადობის მოწმობის გაცემის საფუძველია. კომისიამ განცხადებების განხილვა დაიწყო 30 ივლისიდან და ჩვენი კომისიის დახმარებით უკვე 4 პირმა მოახერხა საჯარო რეესტრიდან პირადობის მოწმობის აღება.

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივდა დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთების რეგისტრაცია, გამგებლის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში განისაზღვრნენ მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის მიხედვით უფლებამოსილ პირებად, რომელთაც დაევალათ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და საკადასტრო აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადასტურება, რამაც მოქალაქეებს გაუმარტივა პროცედურა. ოქტომბრის თვის მონაცემებით პროექტის ფარგლებში შემოსული 172 განცხადებიდან შესრულებულია 147.